



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 4

„27“ 03 2019 წ.

დადგენილება № 5

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი“-ში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63- მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:
 წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი“-ს აკადემიური პერსონალის ნაწილში და პროფესორის საშტატო ეთეული გაიზარდოს 6 ერთეულით, ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეული გაიზარდოს 8 ერთეულით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და გაეგზავნოს შესაბამის სამსახურს.
4. საფუძველი: „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი“-ში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის N3 დადგენილება.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, ვ. მუხომეილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი



ლავრენტი ჩიხურდანიძე